

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

რიგგარეშე სხდომის ოქმი N15

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

26.04.2018 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- *გიორგი ივანიაძე*.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს ბიუროს 10 წევრი: – გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა საკრებულოს ბიუროს წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, კობა ძაგნიძე,

(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- *ლუბა გოგოძე*.

მოწვეული პირი:

მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი **მალხაზი მამასახლისი**.

სხდომა 11⁰⁰ საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ და წარმოადგინა 2018 წლის საკრებულოს 26 აპრილის სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N16 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

მომხსენებელი: /გელა ჩიკვაძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარში, შუაგორასა და ქვედაგორაში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობის (გარე განათების კონსტრუქციები (ს/კ 31.00.364)) შპს „დატაკომი“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემასა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრულ ოდენობაზე თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელი: /ზვიად კაპანაძე/

3. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხზე მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 მარტის N16 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე; (დანართი N2)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის კანონში შევიდა ცვლილება და ვანის მუნიციპალიტეტის დადგენილება აღარ არის საჭირო საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის, ამიტომ ეს დადგენილება უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -10

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 26 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხზე მომხსენებელმა მალხაზ მამასახლისმა (ზვიად კაპანაძის საპატოო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა განკარგულების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდარში, შუაგორასა და ქვედაგორაში არსებული უძრავი ქონების ხაზოვანი ნაგებობის (გარე განათების კონსტრუქციები (ს/კ 31.00.364)) შპს „დატაკომ“-სთვის იჯარით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, პირობით გადაცემასა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრულ ოდენობაზე თანხმობის მიცემის თაობაზე; (დანართი N3)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკაბელო ინტერნეტის შემოსვლასთან დაკავშირებით უფლებას აძლევნ შ.პ.ს. „დატაკომს“ გამოიყენოს გარე განათების კონსტრუქციები ქირის წლიური საფასურის გადახდით.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -10

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 26 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე „სხვადასხვა“ საკითხები არ განხილულა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს ბიუროს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის თავმჯდომარე